ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №21

2016 წლის 28 მარტი,
ქ. ბათუმი

„აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიურიდატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N94 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის, ნ.ზოსიძის 2016 წლის 28 მარტის N300626 საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. „აკადემიური და მასწავლებელთა პერსონალის აკადემიურიდატვირთვისა და ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 29 ივლისის N94 დადგენილებაშიშევიდეს ცვლილება, კერძოდ, წესის „13.3." პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13.3. ჯანდაცვის სპეციალობების კლინიკურ დისციპლინებში პრაქტიკული მეცადინეობა (კურაცია) – არაუმეტეს 10 სტუდენტისა"

2. დადგენილება დასამტკიცებლად გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს, ხოლო აღსასრულებლად გადაეცეს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს).

3. დაევალოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანს, შესაბამის დარგობრივ დეპარტამენტსა და სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს უზრუნველყონ პერსონალის აკადემიური დატვირთვის შესახებ ბსუ-ს რექტორის სამართლებრივ აქტში შესატანი ცვლილების პროექტის ბსუ-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებელთან დროული წარდგენა.

4. დადგენილება ძალაშია 2016 წლის 29 მარტიდან.

აკადემიური საბჭოს სხდომის
თავმჯდომარე,პროფესორიგურამ ჩაგანავა